სსსმ ბავშვის ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის პროცესის კვლევა პანდემიის პირობებში

მარინა ელიაშვილი, დიანა გომელაური

ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი,

სპეციალური განათლების პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების მაგისტრის (სპეციალური განათლება) აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ხათუნა დოლიძე, ასოცირებული პროფესორი

თანახელმძღვანელი: ცირა ბარქაია, მოწვეული ლექტორი

ილიას სახლმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

'როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად'

მარინა ელიაშვილი

დიანა გომელაური

2021 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს კვლევის ანგარიშს, რომელიც ეხება სსსმ მოსწავლის ბაღიდან სკოლაში ტრანზიციის პროცესს პანდემიის პირობებში. კვლევის მიზანია საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ტრანზიციასთან დაკავშირებული საჭიროებების გამოკვეთა და სკოლაში გადასვლისას, მოსწავლის გაძლიერებისთვის ხელშემწყობი სტრატეგიების შემუშავება. კვლევა ჩავატარეთ N95 ბაგა-ბაღსა და N 20 საჯარო სკოლაში. მონაცემების შესაგროვებლად, პრაქტიკის კვლევის მეთოდის გამოყენებით, განვახორციელეთ სიღრმისეული ინტერვიუები, ფოკუს-ჯგუფები, ჩართული დაკვირვება და ექსპერიმენტული დიზაინი. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მშობლისთვის ტრანზიცია დიდ გამოწვევებთანაა დაკავშირებული, ხოლო ამ პროცესში საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობასა და კოორდინირებულ მიდგომას შეუძლია, ეს გადასვლა გაამარტივოს არამარტო ბავშვისთვის, არამედ ბავშვის ოჯახისთვისაც. სკოლის სამასწავლებლო პერსონალისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ბაღში დაგროვილი ინფორმაცია ბავშვების, განსაკუთრებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შესახებ; ბაღის სააღმზრდელო პერსონალი კი მიესალმება სასკოლო მზაობის პროგრამის მეტად დაკავშირებას სასკოლოსთან. ორივე მხარემ გამოხატა თანამშრომლობის სურვილი, თუმცა ისინი საჭიროებენ მეტ ცოდნასა და პროფესიულ გაძლიერებას, რისთვისაც მნიშვნელოვანია სისტემური მხარდაჭერა.

კვლევის შედეგების გათვალისწინებით, შევიმუშავეთ რეკომენდაციები როგორც ერთი კონკრეტული მოსწავლის ტრანზიციის ხელშეწყობისთვის, ასევე, საგანმანათლებლო სისტემის ზედა რგოლისთვის, სათანადო რეგულაციების შესამუშავებლად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ტრანზიცია, სსსმ ბავშვი, ბაღი, სკოლა, მშობელი, პრაქტიკის კვლევა.

Abstract

This paper presents a research report on the transition process from kindergarten to school, of the child with special educational needs, in pandemic basis. The aim of the research is to identify the needs related to the transition in the educational system of Georgia and to develop strategies to support the student during the transition into the school. We conducted the survey in N95 kindergarten and N20 public school to collect data, we conducted in depth interviews, focus-groups, involved observation and experimental design using the practice research method. Research has shown that the transition is associated with great challenges for the parent and the involvement of the educational institution in this process and the collaboration approach can facilitate this transition not only for child but also for the child's family. Information about children especially students with special educational needs is very important for school stuff, kindergarten aducators even welcome the school readiness program to connect more with school. Both sides expressed a desire for cooperation however they need more knowledge and professional development, for which systemic support is very important.

Based on the results of the research we have developed recommendations for facilitating the transition of one particular student as well as for the upper echelon of the educational system to develop appropriate regulations.

Keywords: transition, child with special educational needs, kindergarten, school, parent, practice research.

მადლობა

ჩვენი ნაშრომის მომზადება საკმაოდ რთული და წარმოუდგენელი იქნებოდა, რომ არა ჩვენი აკადემიური ხელმძღვანელების გვერდში დგომა და მხარდაჭერა კვლევის თითოეულ ეტაპზე. დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ჩვენს ხელმძღვანელებს, ქალბატონ ხათუნა დოლიძეს და ქალბატონ ცირა ბარქაიას, იმისთვის, რომ დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, თავიანთი რჩევებით, კრიტიკული მოსაზრებებითა და შეხედულებების გაზიარებით მნიშვნელოვან დახმარებას გვიწევდნენ.

ასევე დიდ მადლობას ვუხდით ყველა იმ ადამიანს, რომელმაც ჩვენს კვლევაში მიიღო მონაწილეობა. კერძოდ: ქ. თბილისის 95-ე საჯარო ბაგა-ბაღისა და ქ. თბილისის მე-20 საჯარო სკოლის წარმომადგენლებს, სსსმ ბავშვს და მის მშობელს. მათი ხელშეწყობითა და ჩართულობით შევძელით კვლევის განხორციელება და ჩვენთვის და ჩვენი ნაშრომის მკითხველისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეგროვება და გაზიარება.

და ბოლოს, ჯგუფის წევრები მადლობას ვუხდით ერთმანეთს თანამშრომლობისა და ერთობლივად გაწეული საქმიანობისთვის.